სამშობლოს მაცოცხლებელი ჰაერი

ტელმან ერისთავი 90-იან წლებში გავიცანი. ისევე, როგორც ყველა მესხ რეპატრიანტს, ჩვენც ბევრი გვქონდა საერთო.

ორივე დეპორტაციაში დავიბადეთ, სამშობლოსკენ ვილტვოდით და კიდეც ჩამოვაღწიეთ. ერთნაირად გვიჭირდა, განვიცდიდით ოსტრაკიზმს და ვიბრძოდით საკუთარი უფლებებისთვის.

მას, როგორც ყველას ჩვენ, მაშინ გურამ მამულია გვეხმარებოდა - ისტორიკოსი, პროფესორი, დისიდენტი, ადამიანი, რომელმაც საკუთარი ნებით იკისრა მესხების დახმარება მათ დაბრუნებაში, და სიცოცხლის ბოლომდე აკეთებდა ამას.

ტელმანი ისეთ ადამიანად მეჩვენა, რომელსაც თავისი საიდუმლო გააჩნდა. თავიდან სიტყვაძვირი, ის თანდათან იხსნებოდა. შემდგომში გამოირკვა, რომ ის განათლებული, ერუდირებული ადამიანია, უმაღლესში იმავე სპეციალობაზე სწავლობდა, რომელზეც მე - სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობა. თუმცა მე მშენებელი ინჟინრის დიპლომი ლენინგრადში მივიღე, მან კი ტაშკენტში.

მერე მისი დიდი ოჯახიც გავიცანი: ცოლი და ოთხი სახენათელი შვილი. მაშინ ჩვენ ხშირად ჩავდიოდით მესხ რეპატრიანტებთან სამტრედიის რაიონის სოფელ კოპიტნარში, სადაც სკოლაში სხვადასხვა ღონისძიებებს ვატარებდით და ბავშვებისთვის იუნისეფის მიერ მოწოდებული რვეულები და კალმისტრები ჩაგვქონდა. ტელმანის სახლი სოფლის განაპირას, სკოლის გვერდით იდგა. მაშინდელი საყოველთაო გაჭირვების მიუხედავად, ტელმანის ოჯახი ყოველთვის გვიწვევდა თავისთან, მათგან წამოსვლისას კი ჩვენს ჩანთებში ყოველთვის ვპოულობდით მისი ცოლის მიერ ჩუმად ჩალაგებულ სოფლის მოკრძალებულ ნობათს. მატერიალურმა გაჭირვებამ ვერ ამოძირკვა მათი სულის სიუხვე.

დღეს ტელმან ერისთავი ხელმძღვანელობს არასამთავრობო ორგანიზაციას „შუქურა“ და ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რათა ცხოვრება შეუმსუბუქოს თავის მოძმეებს სამტრედიის რაიონის სოფელ ახალ იანეთში, იქნება ეს ტრენინგები თემის საქმეებზე, სწავლების ხარისხის გაუმჯობესება თუ სკოლის სტადიონის კეთილმოწყობა.

შვილები გაიზარდნენ, ქალიშვილი გათხოვდა, ბიჭები უმაღლეს სასწავლებლებში სწავლობენ და ჯარში მსახურობენ.

ჩვენ ძველებურადვე ოჯახებით ვმეგობრობთ და დღეს ის თავის ცხოვრებაზე გვიამბობს...

- ტელმან, მოდი, შენს წარმომავლობა-სადაურობაზე ვისაუბროთ.

- წარმოშობით ერისთავების ძველი ქართული

გვარისა ვარ. მესხეთის ადიგენის რაიონის სოფელ მარელიდან. ეს სოფელი რუკაზე აღარ არის, მიწები კია ადგილზე, მაგრამ იქ ის ხალხი აღარ არის. ეს ჯერ კიდევ თამარ მეფის დროს აშენებული ციხესიმაგრე მარელი იყო... იქ ყოფილა მიწისქვეშა გზები, ციხის სათვალთვალო კოშკზე მორიგეობდნენ და როდესაც შორს მტრის რაზმები გამოჩნდებოდა, ნიშანს აძლევდნენ და ყველა მიწის ქვეშ მიდიოდა. მიწისქვეშა გზები ძალიან შორს მიდიოდა და იქიდან ნებისმიერ ადგილზე შეიძლებოდა მოხვედრა. სამწუხაროდ, ეს ციხესიმაგრე არ შემორჩენილა. ის ჩვენ გასახლებამდე ცოტა ხნით ადრე ააფეთქეს, ისევე როგორც მარელის ციხის ყველა მიწისქვეშა შესასვლელ-გასასვლელი. მამის მხრიდან ჩემი წინაპრები ამ ციხესიმაგრის მცველები ყოფილან. საერთოდ კი ისინი უმაღლესი ფენის წარმომადგენლები, აღალარები, მიწათმფლობელი ფეოდალები იყვნენ. თურმე როცა ჩვენებს ასახლებდნენ, ბიცოლა-ჩემს თავის საცვლებში ქართულ ენაზე შედგენილი რაღაც საბუთები დაუმალავს და საიდუმლოდ გაუტანია. ეს ქაღალდები თაობიდან თაობაში ინახებოდა ოჯახში, 1944 წლის ნოემბრის იმ ღამეს ყველა ძვირფასეულობის წაღებას ეშურებოდა, ის კი ამ საბუთებს მალავდა. თუმცა მე ზუსტად არ ვიცი, რა იყო ამ საბუთებში - გვარის კუთვნილობა თუ იმ მამულების რუკები, რომლებსაც ერისთავების თაობები ფლობდნენ. თავის დროზე ვცადე მათი მოძიება, მაგრამ დეპორტაციაში ეს საბუთები დაიკარგა.

ჩემი დიდი პაპა, იბრაგიმ-აღა, ყადი, ანუ მოსამართლე იყო. ერთი სიტყვით, პატივსაცემი ადამიანები იყვნენ.

- დედის მხრიდან?

- ო-ო, ეს საინტერესო ამბავია... დედაჩემი სხვა პრივილეგირებულ ფენას – ბეგებს ეკუთვნოდა. ის ბეგ პეპინოვების (პიპინაშვილების) გვარისაა.

- საარქივო მასალები ადასტურებენ ამას. 1891 წლის „კავკასიურ კალენდარში“ („Кавказский кален-

дарь“) არის „ტიფლისის გუბერნიის მფლობელთა სია, რომლებსაც 380 დესეტინაზე მეტი მიწა აქვთ“, რომელშიც დაფიქსირებულები არიან ბეგები პეპინოვები სოფელ მარელიდან. მეტიც, 1595 წ. ოსმანურ აღწერაში, „გურჯისტანის ვილაიეთის ვრცელ რეესტრში“ სოფელ მარელში მითითებულია მიწათმფლობელი პაპუნასძე. ეს ძველი მოდგმაც არის, და გვარიც...

- ბეგები და აღალარები გამუდმებით კამათობდნენ ვინ უფრო მაღალიაო. ჩემი ნათესავები გამუდმებით ხუმრობით კბენდნენ ერთმანეთს ამასთან დაკავშირებით. თუმცა განსაკუთრებული სხვაობა მათ შორის არც კი ყოფილა. მე-16 საუკუნეში ოსმალთა შემოსევის შედეგად მესხეთი ახალციხის საფაშოდ გადაიქცა და საკუთარი უფლებების შესანარჩუნებლად მესხი დიდებულები იძულებულები იყვნენ ან მაჰმადიანობა მიეღოთ, ან წინაპართა მიწა დაეტოვებინათ, რადგან ოსმალური კანონებით სამსახურში ყოფნა მხოლოდ მაჰმადიანებს შეეძლოთ.

- 200 წლის შემდეგ, 1828 წელს რუსული იარაღის ძალით მესხეთი კვლავ მართლმადიდებლობის საზღვრებში მოექცა, ოღონდ არა ქართული მართლმადიდებლობის, არამედ რუსეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში...

- დიახ, და ქართული წარმომავლობის მაჰმადიანმა ბეგებმა და აღალარებმა თხოვნით მიმართეს რუსეთის იმპერატორს თავიანთ ქვეშევრდომებთან ერთად მართლმადიდებელი ეკლესიის წიაღში დაებრუნებინა ისინი და ისეთივე უფლებები მიენიჭებინა მათთვის, როგორიც იმპერატორის სამსახურში მყოფ ქართველ თავადაზნაურობას გააჩნდა.

- რუსეთის ხელისუფლებამ ეს წინადადება არ მიიღო...

- რუსეთის იმპერია ყველაფერს აკეთებდა იმისთვის, რომ ჩვენ არა მარტო საბოლოოდ გავმაჰმადიანებულიყავით, არამედ იმისთვისაც, რომ ყველაფერი დაგვეკარგნა. მერე და მერე ვითარება უფრო დამძიმდა: საქართველოს გასაბჭოების შემდეგ ჩვენ ხან აზერბაიჯანელებად ჩაგვწერეს, ხან თურქები გვიწოდეს, მერე კი საერთოდ გადაგვასახლეს. ბევრ მესხს დააკარგვინეს მათი ოდინდელი ქართული გვარები, ჩვენც დავკარგეთ ჩვენი გვარი - ერისთავი და სულთანოვებად ჩავგწერეს.

- დედაშენს მივუბრუნდეთ, რაღაც საინტერესოს მოყოლას აპირებდი...

- დიახ. განსვენებულ დედაჩემს, ალაჰმა აცხონოს თქვენი გარდაცვლილების სულები, მიულქია ერქვა, როგორც უკვე ვთქვი, ის ბეგების წოდების წარმომადგენელი იყო. საინტერესოა, რომ ჩემი ქართველობის ამბავი პირველად მაშინ გავიგე, როცა საქართველოში ჩამოვედი. მაშინ უბრალოდ გამიკვირდა. სახლში ქართულად არავინ ლაპარაკობდა, და როცა მერე ვუსაყვედურე, რატომ არ მიყვებოდით-მეთქი, ასე მითხრეს: იმიტომ, რომ თქვენ ამ თემაზე თავი არ გემტვრიათო. ჩვენ რაღაცნაირად ფიზიკურად უნდა შეგვენარჩუნებინა ბავშვები. საინტერესოა, რომ უზბეკეთში დედა არაფერს გვიყვებოდა ჩვენი წარმომავლობის შესახებ. მარტო საქართველოში გვიამბო. და ამის შესახებაც... შვილო, მითხრა მან, ეს ტრადიცია შორიდან მოდის, იმ დროიდან, როცა ჩვენები იძულებულები იყვნენ ახალი სარწმუნოება მიეღოთ. ჩვენ ყველანი ერთი ტომისანი ვართ, - მითხრა მან, - მაგრამ უდიდესმა ნაწილმა ისლამი მიიღო, უმცირესი კი კათოლიკობას ეზიარა (მათ „ფრანგები“ შეარქვეს).

- დიახ, ქართული წარმომავლობის კათოლიკეები - ეგრეთ წოდებული „ფრანგები“ - არ გადაუსახლებიათ 1944 წელს. ისინი დღემდე ცხოვრობენ უდეში, არალში...

- სწორედაც რომ... აღმოჩნდა, რომ უდესა და არალში არიან რომელიღაც ჩვენი ნათესავები, „ფრანგებ-თაგანები“. და როდესაც სარწმუნოებას ვიღებდითო, მითხრა დედამ, ადამიანები შეთანხმდნენ ერთმანეთში (ცხადია, ფარულად): მოლას ქალიშვილს მღვდლის ვაჟიშვილს მიათხოვებდნენ, მღვდლების ქალიშვილებს კი - მოლას ვაჟიშვილებს. რათა ნათესაობა შეენარჩუნებინათ და რათა მომავალში ადგილი არა ჰქონოდა უთანხმოებებს რელიგიის ნიადაგზე. რაღაც გარკვეულ დრომდე ეს კანონი კანონობდა...

- ეს ძალიან იშვიათი ინფორმაციაა. პირადად მე პირველად მესმის ამის შესახებ.

- მე პირადად ვიცნობ ერთ ასეთ უდელ კაცს, ის თვითონაც მღვდელია და მამაც მღვდელი ჰყავდა, დედა კი ჩვენებურია, სოფელ უდედან. და ამ მღვდელმა მითხრა, მამაჩემს ძალიან უნდა შენი ნახვაო, და უდეში დამპატიჟა თავისთან…

- გამოდის, რომ ნათესავები ყოფილხართ?

- ალბათ. დედაჩემი უდეში რომ ჩავიყვანე და იქ რომ გაიგეს, რომელი გვარის ჩამომავალი იყო, მის სანახავად არალის მთელი უფროსი თაობა მოვიდა... ყველა გულაჩუყებული ამბობდა მიულქია-ხანუმი ჩამოვიდა, მიულქია-ხანუმიო. ყველა იცნობდა დედაჩემს. დედა მათ არ იცნობს, ისინი კი იცნობდნენ მას იმიტომ, რომ დედა მარელელი პეპინოვების გვარისა

იყო. ერთი მოხუცი კაცი მიუახლოვდა და ეკითხება: „შვილო, მე ჩვენი ვაშლებისა გამოგიგზავნე და მოგივიდა?“ მაშინ მე უბრალოდ გავოგნდი.

- რას გრძნობდი, პირველად რომ ჩამოხვედი აქ?

- რაღაც მშობლიური ვიგრძენი. თუმცა ენა არ მესმოდა, მაგრამ ვგრძნობდი, რომ ეს ჩემია. მესხეთში კი პირველად 86-ში ვიყავი. მაგრამ მაშინ მე იქაურობა უცხო მეჩვენა - ირგვლივ მარტო ქვები იყო. მაგრამ როცა დედასთან ერთად ჩავედი, მის მონათხრობთან ერთად ეს ყველაფერი თანდათან უფრო და უფრო ახლობელი ხდებოდა ჩემთვის... ის ისტორიაზეც ლაპარაკობდა, იმაზეც, თუ სად რა იყო, მუზეუმშიც მიხსნიდა: ეს ჩვენია, აქედან და აქედან მოვიდა აქაო... მის მიერ მოყოლილმა ამბებმა უფრო დამაახლოვეს მშობლიურ მიწასთან.

- რაც შეეხება მამას?

- მამას ამბავი სხვაგვარად იყო... როცა სახლში, ტაშკენტის ოლქში, ვთქვი, საქართველოში წავალ საცხოვრებლად-მეთქი, მამამ ეს ნეგატიურად აღიქვა.

- რატომ? განა მშობლები არ გიყვებოდნენ საქართველოს შესახებ?

- ხშირად მიყვებოდნენ და თანაც ყოველთვის დიდი სიყვარულით. შეიძლება ეს კარგიც იყო, შეიძლება, ცუდიც იმიტომ, რომ ამ სიყვარულმა საკუთარ ტყვეებად გვაქცია... და ჩვენც გადმოგვედო.

- მამა რატომ იყო წინააღმდეგი, რომ შენ აქეთ წამოსულიყავი?

- მამას საქართველოსადმი რაღაც უნდობლობა ჰქონდა. ეს გადასახლებასთან იყო დაკავშირებული (თუმცა ჩვენ ახლა გვესმის, რომ საქართველოს არ გადავუსახლებივართ), ან შეიძლება განაწყენებულიც იყო. ორივე პაპა გადაასახლეს – ერთი 37 წელს - როგორც კულაკი, ის იქ, უზბეკეთში, რკინიგზას აშენებდა. მოგვიანებით ჩვენ ვიპოვეთ ადგილი, სადაც ის იყო დამარხული, თუმცა ზუსტად არ ვიცოდით, სახელდობრ რომელი იყო მისი საფლავი. მეორე პაპა კი, მამის მხრიდან, კომენდანტის საათის დროს მოკვდა და იაპონელ სამხედრო ტყვეებთან ერთად დაიმარხა თხრილში...

- მშობლები როგორ იხსენებენ გასახლების ამბებს?

- გასახლებამდე ზუსტად რამდენიმე დღით ადრე პაპა დააპატიმრეს. ბიძაჩემი ფრონტზე იბრძოდა, 1944 წელს დაბრუნდა დაჭრილი, ფრონტისთვის უვარგისი იყო, ისიც დააპატიმრეს. და მოკლედ, დააპატიმრეს ყველა მამაკაცი, ვისაც კი რამის გაკეთება შეეძლო. დარჩნენ ქალები, მოხუცები და ბავშვები. საღამოს „სტუდებეკერები“ მოადგნენ. დილით კი ჩასხეს... მამა პატარა იყო, 12 წლისა.

დედაც მარელელი იყო, ის უფრო პატარა იყო. მასაც იგივე ახსოვს, მაგრამ იმ დროისთვის მამამისიც დაპატიმრებული იყო, და ბიძამისიც, მარტო ბავშვები და დედა იყვნენ დარჩენილები. ახალციხეში ისინი საბარგო ვაგონებში ჩასხეს. ამასთან ნათესავები სხვადასხვა ვაგონებში მოხვდნენ. ისინი ტაშკენტის ოლქის შუა ჩერჩიკის რაიონში მოხვდნენ, სადაც რომელიღაც კოლმეურნეობის კლუბში შეასახლეს და ბებია ყვებოდა ხოლმე...

- რა ერქვა ბებიას?

- დოდო.

- დოდო? ეს ხომ ნაღლი ქართული სახელია.

- ეს ჩვენი სახელია. ის ხომ, აქაური იყო... (*იცინის*). კლუბში შეგვასახლეს. ჩვენ კი საბარგო ვაგონებში გატარებული ოცი დღის შემდეგ - ტილიანებს, გაბურძგნულებს, ქუჩაში გამოსვლა გვეშინოდა... ადგილობრივი უზბეკები ჩვენ დანახვაზე ყვირილს იწყებდნენ: კაციჭამიები ჩამოვიდნენ, კაციჭამიები ჩამოვიდნენო!.. ბებია ამბობს, მერე ჩვენ ამ ხალხთან გამოვედით, ავუსხენით, რომ კაციჭამიები კი არა, ისეთივე ადამიანები ვიყავით, როგორებიც ისინი... ამის შემდეგ ისინი ცოტათი დაწყნარდნენ, შემოდიოდნენ ხოლმე ჩვენებურებთან, ის კი არა, ავადმყოფებსაც კი უვლიდნენო...



- და თქვენებმა რა საქმეს მოჰკიდეს ხელი?

- მიწათმოქმედებას. იქ ბამბა და ბრინჯია. ადამიანები გადასახლებულთა ყოფაში იყვნენ: ნაბიჯს ვერსად დგამდნენ. მარტო მუშაობა შეიძლებოდა. მე რომ გავჩნდი, მეტრიკის აღების უფლებაც კი არ მისცეს ჩვენებს. დედას ვეკითხებოდი ხოლმე, დაბადების დღე როდისა მაქვს-მეთქი? ის მეუბნებოდა - მაშინ ბამბა მოილია და ჩვენ კურაკს ვკრეფდითო (კურაკი ბამბის გაუხსნელი კოლოფებია). ეს 2-3 თვის პერიოდია. ისე რომ ჩემი დაბადების თარიღი მთლად ზუსტად არ არის ჩაწერილი. დედა და მამა კავკასიიდან იცნობდნენ ერთმანეთს, თანაც ორივენი მარელიდან არიან... ხომ გეუბნები, გამუდმებით კამათობდნენ, ვინ უფრო მაღლა დგას - აღალარები

თუ ბეგები? სწორედ ამ ნიადაგზე დაახლოვდნენ (*იცინის*). დიდი ოჯახი გვქონდა - ხუთი და, სამი ძმა. ერთი და ამჟამად ყირგიზეთშია, მეორე - უზბეკეთში, ორნი ამერიკაში არიან, ერთი გარდაიცვალა, უკრაინაში ცხოვრობდა... მე უფროსი ვარ. ერთი ძმა ყირგიზეთშია, ერთი - მოსკოვში, მე კი აქ ვარ.

- როგორი ბავშვობა გქონდა?

- მე უზბეკურ აულში გავიზარდე, ჩემიანებში, უზბეკებსა და კორეელებში. თუმცა სკოლა რუსული იყო, პირველ კლასში მასწავლებლად ჩვენებური, მესხი გვყავდა, მაგრამ რუსული არ ვიცოდით. და მასწავლებელიც ჩვენს დიალექტზე ლაპარაკობდა... ერთი კორეელი მასწავლებელიც გვყავდა, რაღაც-რაღაცებს კორეულად გვიხსნიდა. კორეელებს შორის მეგობრები მყავდა, თუმცა ისინი მაჯავრებდნენ ხოლმე, დიდი ცხვირი გაქვსო. იმათთვის შეიძლება მართლაც ასეა. აქ კი, საქართველოში რომ ჩამოვედი, აღმოჩნდა, რომ მეც ისეთივე ცხვირი მქონია, როგორიც ყველას.

არა უშავს რა, ისე ვსწავლობდი, მაგრამ მე-10 კლასისთვის მოვინდომე, ვიყოჩაღე და აღმოჩნდა, რომ საუკეთესო მოსწავლე ვიყავი. ინსტიტუტში ჩაბარება რომ გადავწყვიტე, მშობლებმა პირობა წამომიყენეს - არავითარი სწავლა, თუ ცოლს არ მოიყვანო. დაასახელე გოგონები, მერე კი იმ შენი სიიდან ჩვენ ავარჩევთო. მე ნაზირა დავასახელე, ჩვენი მეზობელი. და ქორწილიც გადავიხადეთ. ანუ ინსტიტუტში რომ ჩავირიცხე, უკვე ცოლიანი კაცი ვიყავი. დასწრებულზე ვსწავლობდი, მაშინ ტაშკენტიდან 40 კმ-ში ვცხოვრობდით და ხშირად ჩავდიოდი ხოლმე სახლში. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ სპეციალობით ვმუშაობდი: უზბეკეთში ორი გოგო და სამი ბიჭი მეყოლა. ბოლო ბიჭი უკვე საქართველოში დაიბადა.

- კმაყოფილი იყავი შენი ცხოვრებით?

- კი, მატერიალურად იქ კარგად ვცხოვრობდით: ტაშკენტში ბინაც მქონდა, ერთხელ სახლში ჩამოვედი, იმ დღეს მამას ძროხები უნდა მოეძოვებინა. მე მის შესაცვლელად წავედი. დილაადრიან წავედი, უჭმელი. სიცხე იყო... იქ, ერთ ადგილას, ბამბის პლანტაციის სიახლოვეს წყარო იყო. თურმე იმ დღეს შხამქიმიკატები გამოეყენებინათ და ისინი წყალში მოხვედრილა, მე კი მთელი დღე ვსვამდი იმ წყალს. იმ წყლის არამცთუ დალევა არ შეიძლებოდა, იმ ბამბაში შესვლაც კი არ შეიძლებოდა. მოვიწამლე თანაც ისე ძლიერად, რომ სამი თვე ვიწექი და მთელი ეს ხანი არაფერი მიჭამია. ამაზე პასუხისმგებელი კი არავინ იყო. ექიმებს ოფიციალურად მიზეზის მითითების უფლება არ ჰქონდათ. მე კი მრცხვენოდა ჩემს ავადმყოფობაზე ლაპარაკი, მრცხვენოდა მეთქვა, რომ ვერც ვჭამდი და ვერც ვსვამდი... ასე უხმოდ ვიტანჯებოდი.

ერთი მეგობარი მყავდა - ექიმი, ასე მითხრა, მაქსიმუმ ოთხი წელი იცოცხლო ამ მოწამვლითო, რადგან თუ გამორეცხვას დაიწყებ, უარესი დაგემართება, წამლები უძლურია და თუ შეიძლება, რომ რამემ გიშველოს, ჰაერი გიშველისო. ასე რომ ჩემი მეგობრული რჩევაა, აქედან წადი, ჩოლპან-ათაში წადი - ეს ყირგიზეთშია, კურორტია ისიკ-ყულის სიახლოვესო. მეც ავდექი და წავედი ყირგიზეთში, სადაც მამიდაჩემი ცხოვრობდა. ჰოდა, სწორედ მან, ფატიმა-ბიბიმ მითხრა: „საქართველოში წადი, რაც არ უნდა იყოს, ჩვენი სამშობლოა. დარწმუნებული ვარ, გეშველებაო“.

- შეიძლება ითქვას, რომ მამიდამ გადამწყვეტი როლი ითამაშა შენს ცხოვრებაში?

- წარმმართველი როლი. ეს 1985 წელს იყო. გადავწყვიტე, უბრალოდ მენახა და ყირგიზეთიდან პირდაპირ თბილისში გადავფრინდი. ტაშკენტში, შინ არავინ იცოდა, ყირგიზეთში ვეგონე.

მივიხედ-მოვიხედე, დავათვალიერე ადგილები, გეგეჭკორის რაიონი მომეწონა და 1985 წლის ნოემბერში ოჯახთან ერთად ჩამოვედი – ოთხი შვილი, ცოლი და მე.

- მშობლებმა როგორ აღიქვეს შენი წამოსვლა?

- ყველა წინააღმდეგი იყო ჩემი წამოსვლის, მშობლებზე რომ აღარაფერი ვთქვა: იმიტომ რომ ისე გამოდიოდა თითქოს მე მათ გამოვეყოფოდი. მშობლებმა კი თან მხოლოდ 300 მანეთი მომცეს - გზისთვის, საჭმელ-სასმელისთვის და ზოგადად, ყველაფრისთვის. ჩემი ნივთების ნახევარიც არ მოუციათ. არ უნდოდათ, რომ იმ მდგომარეობაში მარტო წამოვსულიყავი. იქ ავადმყოფს ვინ მოგივლისო... მომეჩვენა, რომ მათ უნდოდათ, რომ მეწვალა და უკანვე დავბრუნებულიყავი. ამიტომაც არ მომცეს არაფერი. რაღა დაგიმალოთ და, მეწყინა... ასე და ამრიგად, ჩამოვედი გეგეჭკორის რაიონის სოფელ ბანძაში...

- რას განიცდიდი მაშინ?

- თავს ნორმალურად ვგრძნობდი. პირველად რომ ჩამოვედით მე, ცოლი და ოთხი შვილი, სოფელში რატომღაც გადაწყვიტეს, ბოშები ჩამოვიდნენო. საღამოთი გამოვედი, კაცები ნარდს თამაშობდნენ. ვეთამაშე და მაშინ მითხრეს, რაკიღა ნარდს თამაშობ, ბოშა არა ყოფილხარო.

- ეს 85 წელია, მაშინ მესხებისთვის არანაირი ნებართვა არ არსებობდა და შენ როგორ მოახერხე ჩამოსვლა?

- ნებართვა არა მქონია. ჩვენ ვითომ ის ოჯახი ვიყავით, რომელიც აქ სამუშაოდ დასაქირავებლად ჩამოვიდა. საამისოდ თბილისში შრომის სახელმწიფო კომიტეტის ნებართვის მიღება იყო საჭირო. იქ მე ოფიციალურად გამომიცხადეს, ფიზიკურად იმუშავებ და არა სპეციალობითო. მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში გამანაწილეს მევენახედ. უბრალოდ, მიწას ვთხრიდით, ვენახს ვუვლიდით... მაგრამ იცოდნენ, რომ მე უმაღლესი განათლება მქონდა. ორიოდე თვის შემდეგ ჩემი სპეციალობის შესატყვის სამუშაოზე გადამიყვანეს. დაახლოებით სამი წელი ვიცხოვრეთ ბანძაში.

- ჯანმრთელობის მხრივ როგორღა- გქონდა საქმე?

ბანძაში ბრიგადირად ვინმე ჯორჯი ბიძია გვყავდა, ღმერთმა აცხონოს... ნახა, რომ ფიზიკურად მუშაობა მიჭირდა და მკითხა, რა გჭირსო? ვუამბე. „ეგ არაფერიო! - მითხრა იმ ადამიანმა, - მე დაგეხმარები“. და მომცა სპეციალური რეცეპტი - ჭაჭა და ღვინო „ოჯალეში“ განსაზღვრული პროპორციებით უნდა შემერია. მხოლოდ ამით ვმკურნალობდი და არანაირი წამლებით და, ცხადია, საქართველოს ჰაერი, მიწა, პროდუქტები. ასე განვიკურნე, სხვა არაფერი დამჭირვებია.

- აი, რა შეძლებია სამშობლოს ჰაერს...

- მერე წულუკიძის რაიონში გადავსახლდი, ჩაის საბჭოთა მეურნეობაში. იქ სპეციალურად მესხებისთვის აშენებული სახლები იყო. წულუკიძეში ორიოდ წელი ვიცხოვრე, მერე იქ ჩვენიანი აღარავინ დარჩენილა. 91 წელი იყო, გახსოვს, ალბათ, როგორ დევნიდნენ ჩვენიანებს, ბევრი იძულებული იყო საქართველოდან წასულიყო. მე კი დავრჩი. უბრალოდ, სამტრედიის რაიონში, სოფელ კოპიტნაპრში გადავსახლდი, სადაც დღემდე ვცხოვრობ.



- მამა თუ იყო ჩამოსული?

- მამა აქედან ჩემ წასაყვანად ჩამოვიდა.

- ნუთუ მას არ ჰქონია ისეთივე გრძნობა, როგორც დედას?

- ალბათ, ჰქონდა... რომ არ ჰქონოდა, თან წამიყვანდა. უბრალოდ მთხოვა, მარტო, უნათესავებოდ არ დარჩეო. ამჟამად ის ყირგიზეთშია. რაღაცნაირად არ ესმით ჩემი...

- ვიცი, რომ თქვენი სოფელი კოპიტნარი 90-იანი წლების სამოქალაქო ომის დროს საბრძოლო მოქმედებების რაიონში აღმოჩნდა... შეგიძლია, გვიამბო ამის შესახებ?

- დიახ, სამწუხაროდ, იმ დროს ჩვენი სოფელი საბრძოლო მოქმედებების მიჯნაზე აღმოჩნდა. მაშინ ამას ორი მესხი ბავშვი ემსხვერპლა. ბრმა ტყვიებმა მოუსწრაფა სიცოცხლე 11 და 16 წლის ბავშვებს... ეს უდანაშაულო მსხვერპლი იყო და ერთ-ერთი იმ ორი ბავშვიდან ჩემი უფროსი შვილი, ამინა იყო... ამ უბედურებამ რამდენიმე წლით გამთიშა: ვერცა ვჭამდი, ვერცა ვსვამდი და ვერც ვმუშაობდი...

- როგორც მე ვიცი, თქვენი იქ ცხოვრება საკმაოდ დრამატული გამოდგა...

- მძიმე... რომ აღარაფერი ვთქვათ ფინანსურ მხარეზე. სამტრედიაში რომ დავსახლდით, მარტო ერთი ძროხა გვყავდა. ხუთი შვილი, არანაირი სამუშაო, არც საჭმელი და არც სასმელი... გვიჭირდა... მახსოვს, ბავშვები პირველად რომ გავგზავნე კოლეჯში სასწავლებლად, მეუბნებოდნენ, სად უშვებ შვილებს, შენ ხომ გზის ფულიც კი არა გაქვსო? ახლა, მადლობა ღმერთს, ყველაფერი ნორმალურადაა. ახლა მარტო ძროხა გვყავს 15, სხვა საქონელსა თუ ფრინველზე რომ აღარაფერი ვთქვა - ცხვარი, ქათამი, ინდაური თუ იხვი. ეზოში კი ორი მანქანა დგას.

- ცოტა რამ სკოლის შესახებაც გვიამბე...

- როცა მე ჩამოვედი, სოფელში არავინ სწავლობდა. უბრალოდ, სკოლა არ არსებობდა. ჩვენი რამდენიმე ბავშვი მეზობელ სოფელში დადიოდა, მერე კი საერთოდ მიატოვეს. ჩვენ, შეიძლება ითქვას, სოფლის აქტივისტებმა, დავიწყეთ ზრუნვა და მოვითხოვეთ, რომ ჩვენს შვილებს დაწყებითი განათლება მაინც მიეღოთ. ვიპოვეთ მასწავლებელი მეზობელ სოფელ ბაშიდან. ეს სამოქალაქო ომის შემდეგ იყო, 90-იან წლებში. ის დაგვთანხმდა მეექვსე კლასამდე მიეყვანა ჩვენი ბავშვები... იმხანად მასწავლებლებს ხელფასს კუპონებით უხდიდნენ, მათ პრაქტიკულად არანაირი ფასი არ ჰქონდა, თან ჩვენ არც გვქონდა ეს კუპონები. და რადგან მასწავლებელს ფულს ვერ გადავუხდიდით, სიმინდით და ლობიოთი ვუხდიდით, სოფლის სამუშაოებში ვეხმარებოდით. არც სკოლის შენობა არსებობდა. მაშინ გადავწყვიტეთ ყოფილი საბავშვო ბაღის შენობა (იმავე ომის დროს დანგრეული) გადაგვეკეთებინა სკოლად, რაღაცნაირად უნდა

გაგვერემონტებინა ის.

და აი, რა არის საინტერესო! ყოველთვის, როცა კი რაიონის ინსტანციებში ამ თემაზე ჩამოვარდებოდა ლაპარაკი, ჩვენ ერთი და იგივეს გვეუბნებოდნენ: რუსულ სკოლას გაგიხსნითო. ჩვენ კი ქართულ სკოლას ვითხოვდით.

- ეს დაახლოებით ისევეა, როგორც 30-იან წლებში მესხეთში ჩვენ აზერბაიჯანულ სკოლებს გვიხსნიდნენ, ხალხი კი ქართული სკოლების გახსნას ითხოვდა. განცხადებების დასტას მარიამ ორახელაშვილი, საქართველოს სსრ-ს განათლების მინისტრი აწერდა: „თქვენ თათრები ხართ და თათრულ ენაზე უნდა სწავლობდეთ“. აი, ასე! მერე კი აღშფოთდებიან ხოლმე მესხებმა ქართული ენა რატომ არ იციანო.

- ჩვენ ვაცხადებდით: ჩვენ საქართველოს მოქალაქეები ვართ, მესხები, აქ უნდა ვიცხოვროთ და ქართული ენა უნდა ვიცოდეთ. და მაინც მივაღწიეთ იმას, რომ სკოლა ქართული ყოფილიყო. მერე აფხაზეთიდან ლტოლვილთაგან სხვა მასწავლებლებიც შემოგვემატნენ.

- გვიამბე, როგორ ჩამოვიდა თქვენს სოფელში შევარდნაძე...

- შევარდნაძე ჩვენთან მარატის ბრიგადის გამოსვლის შემდეგ ჩამოვიდა *(მ. ბარათაშვილი „მესხ რეპატრიანტთა უფლებრივი მდგომარეობა საქართველოში“, 1998 წელს - **კ. ბ.**)*. ზუსტად არავინ იცოდა, მაგრამ ხმები დადიოდა და ყველა ელოდებოდა მას. შეხვედრა მძაფრი გამოდგა და სპონტანურად ჩატარდა. თუმცა შედეგი კარგი იყო. ჯერ ერთი, სკოლა გაარემონტეს... გაჩნდა პერსპექტივა - უფროსი ასაკის ბავშვებისთვის გაძლიერებული კლასები გახსნეს. ბავშვებმა ენა კი იცოდნენ, მაგრამ პროგრამას ჩამორჩებოდნენ.

- ვიცი, რომ თქვენ ძალიან ცდილობდით, რომ ბავშვებს რაღაც წრეები, კლასგარეშე მეცადინეობები ჰქონოდათ.

- ჩვენ განსაკუთრებით ვცდილობდით ბავშვებში ქართული კულტურის სიყვარული გაგვეღვივებინა, და არა მარტო სიყვარული, არამედ ქართულად სიმღერისა და ცეკვის უნარიც. მე სულ ვიმეორებ: სმა, სიმღერა და ცეკვა - საქართველოში ყველამ უნდა იცოდეს *(იცინის).*

- შენმა შვილებმა თუ იციან ეს?

- იციან, ისინი ყველაფერში ყოველთვის აქტიურად მონაწილეობდნენ... კულტურის ეს ელემენტები ადამიანმა მცირე ასაკიდანვე უნდა შეითვისოს.

- გვარი როდისღა აღიდგინე?

- თავდაპირველად ჯერ კიდევ გეგეჭკორში. გურამ მამულიამ მომიტანა არქივიდან ამონაწერი იმის შესახებ, რომ ჩვენს წინაპრებს ერისთავის გვარი ჰქონდათ. მაშინ მე ამ გვარზე უარი ვთქვი. მოვინდომე, რომ სოფელ მარელიდან გამომდინარე გვარი მოეცათ ჩემთვის - ან მარელიძე, ან მარელიელი. მეტრიკაც კი მივიღე წულუკიძეში. ვთქვი, ხომ მაქვს ასეთი გვარის ტარების უფლება, როგორც ამ სოფლის შვილს-მეთქი? მერე კი, როცა გურამთან კამათი დავიწყე, გამიბრაზდა, თუ შენს გვარს არ იღებ, ნურანაირს ნუ აიღებო...

- ერისთავის გვარი რატომ არ გინდოდა?

- რაღაც შინაგანი პროტესტი მქონდა. გვართან დაკავშირებით კი არა, არამედ მწყინდა, როცა მეუბნებოდნენ, თუ ქართველი ხარ, ქართული რატომ არ იციო? მწყინდა. თანაცო, მეუბნებოდნენ, ასეთი გვარი გაქვსო.

- ანუ ამ პასუხისმგებლობისა შეგეშინდა?

- კი, ამისი შემეშინდა... ახლა კი აღარ მეშინია! იმიტომ, როცა მომაწვებიან, ვეუბნები ხოლმე, ჩემს შვილებთან წადით, იმათ იციან ენა-მეთქი. გავიდა დრო, მე უკვე უარი ვთქვი მარელიძეობაზე (მეტრიკა დღემდე სახლში დევს). მერე კი, სამტრედიაში, მე უფრო მომზადებული ვიყავი. გადავწყვიტე ჩემი წინაპრების გვარი - ერისთავი მიმეღო. წავედი და გავაფორმე. მერე კი იმასაც მივხვდი, რომ ადამიანი კი არ არის გვარზე დამოკიდებული, არამედ გვარი იქნება ადამიანზე დამოკიდებული. მთავარია, შენ იყო კარგი, მაშინ გვარსაც წარმოაჩენ. ან დააკნინებ. ყველაფერი შენზეა დამოკიდებული.

მაგრამ მთავარი ისაა, რომ შენს სამშობლოში ცხოვრობ და მისი ცხოველმყოფელი ჰაერით სუნთქავ.

კლარა ბარათაშვილი
2010 წ.

გამოქვეყნებულია ჟურნალში „კავკაზსკი აქცენტ“ («Кавказский Акцент») №1, 2010 წ. რუსულ ენაზე. მთარგმნელი მანანა გელაშვილი